ქართული ნაციონალიზმის საკითხებისათვის

(1930-50-იანი წლები)

შალვა ჯავახია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე

პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ნაშრომის ხელმძღვანელი: **გიგი თევზაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

თბილისი 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შალვა ჯავახია

10.07.2020

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია განიხილოს 1930-50-იან წლებში საბჭოთა კავშირის ნაციონალიზმის პოლიტიკა საქართველოში. ნაშრომში განხილულია ხსენებული პერიოდის პრესა, საგანმანათლებლო პროგრამები და უშუალოდ პროცესებში მონაწილე ადამიანების ნააზრევი, თუ მონათხრობი. ნაშრომი ცდილობს უპასუხოს შემდეგ კითხვებს: როგორია იმ პერიოდის მმართველობის ფორმა, რა პოლიტიკური და კულტურული პოლიტიკა აქვს არჩეული საბჭოთა ხელისუფლებას და როგორ და რა ფორმებით ხდება საბჭოთა ხელისუფლებისთვის მისაღები ცნობიერების დამკვიდრება ერში?

ნაშრომი იყოფა რამდენიმე ნაწილად, პირველ ნაწილში მოკლედ გადმოცემულია საბჭოთა კავშირის ზოგადი პოლიტიკა მოკავშირე რესპუბლიკებში, იმპერიის იდეოლოგიური ხასიათი და შინაარსი. შემდეგ მოსდევს საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალიზმის პოლიტიკა საქართველოში, სადაც ყურადღებით არის გაანალიზებული ხსენებული პერიოდის პრესა, ადმინისტრაციული ღონისძიებები. მესამე ნაწილი მთლიანად ეძღვენება საბჭოთა პერიოდის ქართულ კინომატოგრაფიას, ლიტერატურას, ისტორიოგრაფიას, სასკოლო პროგრამებს. ბოლო თავში კი, საუბარია „ერზე ბელადის გარშემო“ - როგორ იქმნება იოსებ სტალინის კულტი რუსეთში და საქართველოში.